

### პოლიტიკა

#### აჭარაში ერთპიროვნული მმართველობა აღარ იქნება

აჭარაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შემდგომ, საკმაოდ ბევრი კითხვა და მოსაზრება გაჩნდა. ამ ფონზე პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები უკვე გარკვეულ პროგნოზებს აკეთებენ და ხელისუფლებას საკუთარ რჩევებსაც სთავაზობენ.

A2

### აქრონოზიკა

#### ჭიათურელს დასაქმებასა და ჯანმრთელობას შორის ხშირად დასაქმების

სასარგებლოდ უნდა  
არჩევანის გაკეთება

ჭიათურელს დასაქმებასა და ჯანმრთელობას შორის ხშირად დასაქმების სასარგებლოდ უნდა არჩევანის გაკეთება. ჭიათურაში დაავადებათა რიცხვმა ბოლო 4 წლის განმავლობაში 19 ერთეულით იმატა. მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი გამოკვლევას საჭიროებს.

A4

### უცხოეთი

#### მიხაკების არგებლობის რეკომენდაცია

6 მაისს საქართველოში კიდევ ერთი "ხავერდოვანი რევოლუცია" მოხდა. ნოემბრის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, მიმოხილვები ვარაუდობდნენ, რომ დღეს სივრცეში, შესაძლოა, დემოკრატიული ცვლილებები დაჩქარებულიყო. თუმცა, ჩვენს მეზობელ სომხეთში მარტის ბოლოს დაწყებული საპროტესტო მოძრაობა რევოლუციაში ვერ გადაიზარდა, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს.

A5

### საზოგადოება

#### ქარნავალი მდიდრებისა და ღარიბებისთვის

8 მაისს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" უჩვეულო ქარნავალი გაიმართება; უჩვეულო იმიტომ, რომ ამ ღონისძიებით მდიდრები გაერთობიან და ღარიბები ისარგებლებენ.

A6

### სამართალი

#### ქეთაისის „ტორედოს“ ანგარიშიდან დაპარკულ მილიონებს ეძებენ

იმერეთის ოლქის პროკურატურა ქეთაისის საფეხბურთო კლუბ "ტორედოს" ფინანსურ საქმიანობას სწავლობს. უკვე აღმოჩენილია სისხლის სამართლის საქმე კლუბის ხელმძღვანელი პირების მიმართ.

A7

### ანიონი

თბილისი	23	☁
ქუთაისი	28	☁
ბათუმი	27	☁
სოხუმი	24	☁
ფოთი	27	☁
თელავი	23	☁
ზუგდიდი	28	☁
გორი	23	☁
ახმეტა	24	☁
ჭიათურა	26	☁
ბაზრა	23	☁
სამტრედიო	28	☁

**უცხოური ვალუტის  
ოფიციალური კურსი  
ლართან მიმართებაში**

აშშ დოლარი	1.9600
ევრო	2.3802
გირვანქა სტერლ.	3.5057
რუბლი	0.0679

# აჭარა

## საქართველოს ბაერთიანების დასაწყისი



გამარჯვებული ხალხის პრეზიდენტი ბენდინერი და ამაყია.

A3

### სალომე ზურაბიშვილი: „აბაშიძე ჩვენ აღარ გვიხედა“

**რუსიდან ნიჟარაძე**  
ს.ა. კორ. მოსკოვი

სალომე ზურაბიშვილმა აბაშიძის ტვირთი რუსეთს გადაულოცა; სერგეი ლავროვის იმედი აქვს, რომ აჭარაში რეპრესიებს ადგილი არ ექნება.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან ერთ-ერთზე შეხვედრის შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ აბაშიძის პრობლემა საქართველოსათვის აღარ არსებობს, თბილისმა ეს ტვირთი მოიხსნა და რუსეთს გადაულოცა.

„არა დევნის ტვირთი,“ - იქვე მილით შენიშნა სერგეი ლავროვმა.

„რა თქმა უნდა, - უპასუხა ქალბატონმა სალომემ, - აბაშიძეს არავინ დევნის, მას ხელშეუხებლობის გარანტია პრეზიდენტმა სააკაშვილმა უკვე მისცა.“

**ბაზრძალა A3 ბავრძა**



სალომე ზურაბიშვილი და სერგეი ლავროვი ჟურნალისტების წინაშე.

### პარლამენტარები 2004 წლის ბიუჯეტის წინადადება

დაუფინანსებლობის გამო, საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში ხმის ჩამორთმევა ემუქრება

**თამარ ივანიძე**

2004 წლის ბიუჯეტის პროექტს გუშინ პარლამენტართა რისხვა დაატყდა. საგარეო ურთიერთობათა და ეკონომიკური განვითარების კომიტეტებში გუშინ საბიუჯეტო დაფინანსების სერიოზული ზრდა მოთხოვეს, თქვას, რომ პროექტში აღნიშნული დაფინანსების პირობებში საქართველოს საელჩოების დახურვა, ნატო-ში ინტეგრაციაზე ოცნების დათმობა მოუწევს. ბიუჯეტი განიხილეს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტშიც. ფინანსთა სამინისტრო პარლამენტართა მოსაზრებებს იზიარებს, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას არ აპირებს.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და ეკონომიკური განვითარების კომიტეტებში მკაცრად აკრიტიკებენ 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და ფინანსთა სამინისტროსგან საგარეო უწყებისათვის დაფინანსების 2 500 000 ლარით გაზრდას მოი-

**ბაზრძალა A4 ბავრძა**

## ბენარალი დუმბაძე დაიჭირეს, ჭამალ გობიტაძე ხელგუხეხა

**სოფიკო ჩხიძე**

გუშინ ბათუმში მთელი აჭარის მოსახლეობა დემოკრატიის გამარჯვებას ზეიმობდა. ხალხი და ბათუმში მყოფი, საქართველოს ხელისუფლების თითქმის მთელი შემადგენლობა ასლან აბაშიძის გადადგომას აღნიშნავდა. ერთადერთი, ვინც ამ საზეიმო განწყობის ფონზე, ერთგვარად შემაშფოთებელი განცხადება გააკეთა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე გახლდათ. „ასლან აბაშიძის გადადგომის მიუხედავად, მისგან პროვოკაცია მაინც არის მოსალოდნელი“, - განაცხადა მან და, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი განცხადების გაკეთების კონკრეტული მიზეზი არ დაუზუსტებია, ჩვენი მხრივ ვიტყვი, რომ სამისოდ საკმარისი საფუძველი არსებობს.

**ბაზრძალა A7 ბავრძა**











# ბენარალი დუმბაძე დაიჭირეს, ჯამალ გოგიტიძე ხელშეუხებელია

## პირველი გავრცელება

ასლან აბაშიძემ საქართველო დატოვა, თუმცა, მანამდე მან საქართველოს ხელისუფლებისგან სრული ხელშეუხებლობის გარანტიები მიიღო. გარკვეული, ჩვენთვის უცნობი გარანტიები მიიღო მან რუსეთის ხელისუფლებისგან – ტყუილად ხომ არ ელოდა იგი რუსეთის პრეზიდენტის წარგზავნილ იგორ ივანოვს. ასე რომ, ჯერჯერობით მაინც, ასლან აბაშიძემ, რომელსაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მილიარდობით დოლარის დატაცებისა და სხვა არაერთი დანაშაულის ჩადენისთვის უყენებდა პრეტენზიებს, უპირობოდ დატოვა საქართველოს საზღვრები. როგორ შემოებრუნდება საქართველოს მისთვის ჩამოურთმეველი მილიარდები, ჯერჯერობით, უცნობია და, ალბათ, სწორედ ეს ანუხებს გიორგი ბარამიძეს, თუმცა კი, ამბობს: **“პროვოკაციების არ გვემინია. საქართველოს ძლიერი ხელისუფლება ჰყავს, რომელიც შეძლებს სიტუაციის კონტროლს, თუმცა სიფრთხილე მაინც გვმართებს”**. მისი სიფრთხილე კიდევ უფრო გასაგებია იმის გათვალისწინებით, რომ აჭარის ან უკვე ყოფილი მეთაურის უფრთხილესი ხელქვეითი, თავიანთი ლიდერის არ იყოს, ათას ცოდვაში დადანიშნულად უნდა იქნებოდა თავისი სფეროები არიან. ამასთან, აღსანიშნავია: თუ საქართველოს გენერალური პროკურორი ცალსახად აცხადებდა, ასლან აბაშიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღკვეთილავს და მას გონს მოსვლის შანსი კიდევ აქვსო, მის რამდენიმე მაღალჩინონის საქმე უკვე დაპატიმრებამდე იყო მისული. მათგან ამჟამად მხოლოდ გენერალი რომან დუმბაძე პატიმრობაში აყვანილია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბათუმის 25-ე მოტოშპრო-

ლევი ბრიგადის ყოფილი მეთაური, გენერალი რომან დუმბაძე ასლან აბაშიძის გადადგომიდან ძალიან მალე დააპატიმრეს. გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, იგი სამართალდამცველებს საკუთარი ნებით ჩაბარდა. როგორც ცნობილია, გენერალი დუმბაძე, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ განცხადდა, რომ არ ექვემდებარება ქვეყნის მთავარსარდალს და მხოლოდ ასლან აბაშიძეს ემორჩილება, ბოლო ერთი თვის მანძილზე საერთაშორისო ძეგნითად იყო გამოცხადებული. სამხედრო პირისთვის უმძიმესი დანაშაულის – უმაღლესი სახედრო ხელმძღვანელობისადმი დაუმორჩილებლობის გამოცხადებულ გენერალს გუშინ ბრალი რამდენიმე მუხლით წაუყენეს.

სამშობლოს ღალატი, უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნა, იარაღის უკანონოდ შენახვა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება და, რაც მთავარია, სამშობლოს ღალატი – სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლებით დადანიშნულ დამატებით თაისისუფლების უფადოდ აღკვეთა ელის. გუშინ რომან დუმბაძე უშიშროების სამინისტროს წინასწარი დაკავების საქმეში სამხედრო პროკურატურის გამომძიებლებმა დაკითხეს და ბრალდებულად წაუყენეს. მის ინტერესებს სახაზინო წესით აყვანილი ადვოკატი იცავს. თავად დუმბაძე, ჯერჯერობით, დუმბაძის უფლებით სარგებლობს. უახლოეს ორ დღეში მისთვის აღკვეთილი ღონისძიების შეფარდების საკითხზე სასამართლო იმსჯელებს.

აჭარაში ასლან აბაშიძის ხელმძღვანელობით მოღვაწე სხვა მაღალჩინონებმა კი თავს სხვადასხვა გზით უშველეს. მაგალითად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების ყოფილი მინისტრი სოსო



გენერალი დუმბაძე დემოლის უფლებას იყენებს.

გოგიტიძე, რომელიც, ირაკლი ოქრუაშვილის მიერ დაახლოებით ერთი თვის წინათ გაკეთებული განცხადებების თანახმად, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თამაზ ინაიშვილის მკვლელობის ორგანიზებასა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ ტერაქტის დაგეგმვაში იყო ექვმიტანილი, ასლან აბაშიძესთან ერთად მოსკოვის გზას დაადგა.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ჯერ კიდევ აბაშიძის გადადგომამდე დახანძრული მოღვაწე სხვა მაღალჩინონებმა კი თავს სხვადასხვა გზით უშველეს. მაგალითად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების ყოფილი მინისტრი სოსო

გოგიტიძე, რომელიც, ირაკლი ოქრუაშვილის ორგანიზების გარდა, ამ წყვილს საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენასაც ედავებოდნენ და ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის სასტიკად ცემის უზრუნველყოფასაც. იმავე დანაშაულების ჩადენაში მონაწილეობას საქართველოს სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელები სოსო გოგიტიძის მოადგილეს გოგი კუპრეიშვილსაც მიაწერდნენ, რომლის ადგილსამყოფელიც ჩვენთვის უცნობია. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთჩამოთვლილი პირები ნარკობიზნესის კონტექსტშიც ხშირად მოიხსენიებოდნენ.

სხვათა შორის, ასევე ერთი თვის წინ გენერალურმა პროკურორმა გვახცნო, რომ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ბათუმში, 24 თებერვალს, მშვიდობიანი მანიფესტაციების დარბევის ფაქტზე. ხოლო დაზარალებულებისა და ნეიტრალური ცემის უზრუნველყოფასაც. იმავე დანაშაულების ჩადენაში მონაწილეობას საქართველოს სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელები სოსო გოგიტიძის მოადგილეს გოგი კუპრეიშვილსაც მიაწერდნენ, რომლის ადგილსამყოფელიც ჩვენთვის უცნობია. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთჩამოთვლილი პირები ნარკობიზნესის კონტექსტშიც ხშირად მოიხსენიებოდნენ.

სხვა მრავალი დანაშაულის ჩადენაშიც იმხილება. მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევისთვის პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდათ ასევე ბათუმის კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილეს ვაჟა თაბაგძეს და პროკურატურის თანამშრომელს ნოდარ იაკობიძეს. სხვათა შორის, ამ დანაშაულებზე საუბრისას, ირაკლი ოქრუაშვილმა ჯემალ გოგიტიძეც ახსენა და აღნიშნა, რომ ერთადერთი, რაც მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაში უშლის ხელს, გოგიტიძის სადემუკრატო იმუნიტეტია. დღეს კი, ანუ ამ განცხადებების გაკეთებიდან ერთი თვის შემდეგ აჭარის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ერთადერთია ასლან აბაშიძის ოლიგოზურ ხელქვეითთა შორის, ვინც ცენტრალური ხელისუფლებიდან სხვა ხელმძღვანელობის გარანტიის მიღობა გიორგი ბარამიძის თქმით, სამართალდამცველებს მის მიმართ პრეტენზიები არ აქვთ. გოგიტიძის მიმართ ასეთი ლოიალობის მიზეზი, სავარაუდოდ, მისი დროულად გონს მოსვლაა – შინაგან საქმეთა მინისტრი ხომ აბაშიძის გადადგომის შენახვებზე ოფიციალური განცხადების გაკეთებამდე განუდგა აჭარის ლიდერს.

დანარჩენების ბედი, ანუ ვრცელდება თუ არა საქართველოს ხელისუფლების მიერ ბათუმში მოვლენათა მშვიდობიანად დასრულების შემთხვევაში “ყველაფერი დავიწყების” ალტერნატივა სისხლის სამართლის დანაშაულებში მხილველებზე და აპატიებენ თუ არა ასლან აბაშიძის ერთგულ ხელქვეითებს ყველა იმ დანაშაულს, რომელთა ჩადენაც საქართველოს სამართალდამცველი ორგანოების პირველ პირებს მათთვის არაერთხელ დაუბრუნებიათ, ჯერჯერობით უცნობი რჩება.

## ქუთაისის „ტორპედოს“ ანგარიშიდან დაკარგულ მილიონებს სასამართლოდამსჯილი ეპიზოდი

იმერეთის ოლქის პროკურატურა ქუთაისის საფეხბურთო კლუბს “ტორპედოს” ფინანსურ საქმიანობას სწავლობს. უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე კლუბის ხელმძღვანელი პირების მიმართ. თუმცა, კონკრეტული დანაშაულები გამოძიებას, ჯერჯერობით, არ ჰყავს. თანხა, რომლის მითვისებასაც გამოძიება “ტორპედოს” ხელმძღვანელ პირებს ედავება, სოლიდურად გამოიყურება.

ბაძა სისპარკო ქუთაისი

გამოძიების მასალებით, სხვადასხვა დროს საფეხბურთო კლუბის ანგარიშებიდან ნახევარ მილიონ დოლარამდე მითვისებულია. ასევე კლუბის ბუღალტერი არ არის ასახული, “ტორპედოს” მიერ განხორციელებული ფეხბურთელების ტრანსფერები.

აღნიშნულ ფაქტზე, თავდაპირველად, სისხლის სამართლის საქმე ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აღიძრა და გამოძიებას იმერეთის სამხარეო პოლიციის, კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის სამსახური აწარმოებდა. აღნიშნული სამსახურის მიერ შემუშავდა კლუბის საქმიანობის 2000-2003 წლები. ამჟამად პოლიციის წინასწარი მოკვლევა დამთავრებული აქვს, მოკვლეული მასალები პროკურატურას გადასცეს, რომელიც კონკრეტული დანაშაულების გამოძიებაზე მუშაობს. “ტორპედოს” ხელმძღვანელმა პირებმა 2000-2003 წლებში, ამავე საზოგადოების კუთვნილი გრანტების სახით მიღებული დიდი ოდენობის თანხები მითვისეს. სხვადასხვა დროს “ტორპედომ” “უფასავან” გრანტის სახით 198 ათასი ამერიკული დოლარი, 307 ათას 187 ლარი და 255 ათას 172 შვეიცარული ფრანკი მიიღო. ეს ეხება პერიოდს, როდესაც “ტორპედომ” ჩემპიონი გახდა. აღნიშნული თანხა “უფასავ” ტურნირში საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას, ფეხბურთელების ტრანსპორტირება-კვებას, სარეაბი-

## თემურ ხაჩიშვილს პატიმრობიდან დღეს გაათავისუფლებენ

იარაღის უკანონო ტარებისთვის დაკავებულ თემურ ხაჩიშვილს, საოლქო სასამართლოს დარბაზიდან, სავარაუდოდ, დღეს გაათავისუფლებენ.

ბრალდებულის ადვოკატი ვახტანგ თალაკვაძე ხაჩიშვილის დაკავებისა და მისთვის ბრალის წარდგენის დროს დაშვებული პროცესუალური დარღვევების გარდა, იმ ფაქტსაც ასაჩივრებდა, რომ ხაჩიშვილი ჩინთი გენერალ-მაიორი და მისთვის აღკვეთილი ღონისძიება რუსეთის საქალაქო სასამართლოს კი არა, უზენაეს სასამართლოს უნდა შეეფარდებინა. ხაჩიშვილის გენერალ-მაიორობის დამადასტურებელი საბუთი ადვოკატმა სასამართლოს გუშინწინ წარუდგინა. თალაკვაძე აცხადებდა, რომ ბი-იარაღი, სადაც ხაჩიშვილი დაკავეს და იარაღი ამოიღეს, დაკავებული არც ჩანერილია და არც ცხოვრობს. მისივე მტკიცებით, დაკავების პროცესში უამრავი პროცესუალური დარღვევა დაფიქსირდა – არ იქნა წარმოდგენილი გადამამტკიცებელი ჩხრეკის დადგენილება, რომელიც, თავის მხრივ, უკანონო იყო და გარდა ამისა, ჩხრეკას არ დაასწრეს იქ მყოფი ადამიანები. მეტიც, პოლიციამ დამსწრეები თბილისიდან თავად ჩამოიყვანა.

“შე არავითარი კანონსაწინააღმდეგო არც ქვეყნისა და არც პრეზიდენტის წინაშე არ ჩამიდგინა. იმ დროს, როცა საქართველოში ასეთი დამატებული სიტუაციაა, ჩემი დაჭერა პოლიტიკური ნიშნით მოხდა. არ ვაპირებ ჩანს, გარკვეულ ძალებს სჭირდებათ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის რაღაც უთანხმოება დაიწყოს” – განაცხადა თემურ ხაჩიშვილმა, თუმცა იქვე დაამატა, რომ იგი ისეთი მნიშვნელობის პერსონა არ არის, რომლის მიზეზით ორ ქვეყნას დაფიქსირდეს. მან ასევე, კომენტარი გააკეთა აჭარასთან და ასლან აბაშიძესთან მისი ურთიერთობის შესახებაც. **“ბატონ ასლანთან 1992 წლიდან ვემგობრობ, მაგრამ ბოლო მოვლენებთან დაკავშირებით მე მას მხარს არ ვუჭერ. მით უფრო, “აღორძინების” პოლიტიკური მომხრე არ ვარ, მაგრამ ამ სიტუაციაში ასლან აბაშიძის საწინააღმდეგო განცხადებების გაკეთებას არ ვაპირებ”** – განაცხადა თემურ ხაჩიშვილმა.

გუშინ მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღება ვერ მოასწრო და პროცესი დღეისთვის გადაიდო.

შეგახსენებთ, რომ თემურ ხაჩიშვილი რუსეთში, საკუთარ ბინაში ადგილობრივი პოლიციის სამმართველოს წარმომადგენლებმა გასულ კვირას აიყვანეს. ბინის ჩხრეკისას

**ორი სიხვეპით**

ბათუმი. ბათუმში, კლდიაშვილის ქუჩაზე კერძო საცხოვრებელ ბინაში იარაღის არსენალი აღმოაჩინეს. მათ შორისაა ტანკსანიწაღმდეგო ჭურვები, დიდი რაოდენობით ტროტელი, ავტომატური იარაღი, ვაზნები და სამხედრო ფორმები. გაერცხლებული ინფორმაციით, არსენალს კურირებდა აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ბაკურიძე. ამასთან, სახლი, სადაც არსენალი აღმოაჩინეს, აჭარის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ელენერ ხალვაშის დედის სახელზეა გაფორმებული. **მედი-ნიუსი**

ქობულეთი. 6 მაისს ქობულეთში, ზღადაძეების საგვარეულო ნებაყოფლობით ჩაბარა საბრძოლო მასალები: 60 აკუმ სისტემის ავტომატური იარაღი 120 მჭიდით, აქედან – 40 ერთეული ავტომატური იარაღი რუმინული წარმოებისა და მათ ეს აჭარის ყოფილმა ხელისუფლებამ 1992 წელს გადასცა; 20 ერთეული კი რუსული წარმოებისა და დარღვეულია ავტონომიურ რესპუბლიკაში ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენების დროს. ასევე ოთხი “სედ“-ს ტიპის შაშხანა თავისი მჭიდებით და 520 ტყვიით. ორი ცალი ყუმბარმტყორცნი ერთი ყუთი ჭურვებით, სამი ჩანთა ქვეთსანიწაღმდეგო ჭურვი, სამი ყუთი ხელფეხბარა, რვა ყუთი კალაშნიკოვის სისტემის ავტომატის ტყვიები, - იტყობინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. **მედი-ნიუსი**

თბილისი. უფლებამოსილების ვადის გასვლისთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა თანამდებობიდან გაათავისუფლა თბილისის ოთხი რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე და მათ თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დააკისრა. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე დავით დიოჯაშვილი, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ნოზაძე, კრწანთის-მთიანეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა სონღულაშვილი და გლდანი-ნინოწაღვების რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ზურაბ რუხაძე თანამდებობებზე 1999 წლის მაისში ხუთწლიანი, ხოლო მოსამართლედ - 10-წლიანი ვადით დაინიშნენ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის თანახმად, უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ თავმჯდომარე, შესაძლოა, მეორე ვადით დაინიშნოს. სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატურას პრეზიდენტს ოუსტიციის საბჭო წარუდგენს. ამისათვის ვადა დანესხული არ არის. **მედი-ნიუსი**

### „ცენტრ პოინტი“ ყველგან და ყველასთვის

მეტეორული კომპლექსი

**სტრატეგიული პარტნიორები**

**TBC ბანკი & ცენტრ პოინტი**

**ლაპალი ფაი, უაილდასი ხანისი, ზეთანაპირი, საპეპელო, შაქრობიჯი**

საქართველოში უამრავი უახლესი უბანია

**„ცენტრ პოინტი“**

საუკეთესო არჩევანი

**თქვენ ეს ღირსება უნდა!**

სამართალი: თბილისი, ჭავჭავაძის 66, ტელ. 253216, 253217  
www.centerpoint.ge cp@centerpoint.ge 232260





ფოტორეპორტაჟი



საიტის ფოტორეპორტაჟი





ფეხბურთი

# მეორე ნედვიდი

უახლოეს მომავალში ტურინის "ოუვენტუსში" მეორე ნედვიდი გამოჩნდება. საქმე ის არის, რომ ჩეხეთის ნაკრებისა და "უდინეზეს" ნახევარმცველი მარეკ იანკულოვსკი ტურინში გადაბარგებას აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ტურინელებმა, რომლებსაც პერსპექტიული ჩეხის შექმნა ჯერ კიდევ ვერო 2004-ის დანეყნამდე სურდათ, "უდინეზეს" უკვე შესთავაზეს 6 მილიონ გირანჯა სტერლინგი და პლუს ნახევარმცველი ენცო მარესკა. ვარაუდობენ, რომ არცთუ მდიდარი "უდინეზე" ასეთ წინადადებაზე უარს ვერ იტყვის.

პირველი წელიწადი არ არის, რაც მარეკ იანკულოვსკი პერსპექტიულ ფეხბურთელად მიიჩნევა. ახლა კი მას შანსი ეძლევა, გაიმეოროს თავისი თანამემამულის პაველ ნედვიდის ბედი, რომელიც "ოუვენტუსის" შემადგენლობაში მსოფლიო მასშტაბის სუპერერასკვლავად ჩამოყალიბდა და შესაბამისი სტატუსით სარგებლობს.

ფეხბურთელის პროფესიული კარიერა მარეკ იანკულოვსკიმ ჩეხეთის "ბანიკში" დაიწყო. გუნდის ძირითად შემადგენლობაში კი მხოლოდ 1997 წელს დაიმკვიდრა ადგილი. ნიჭიერი და ფიზიკურად ძლიერი, ახალგაზრდული ნაკრების პაველი, ეროვნული გუნდის ხელმძღვანელებმა სწორედ ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის წინ შეინიშნეს და ჩეხეთის პირველ გუნდში მიიწვიეს. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იანკულოვსკი იტალიაში გადაიხვეწა და "ნაპოლის" შემადგენლობაში ჩაირიცხა. იტალიაში პირველი სეზონი ახალგაზრდა ჩეხისთვის უიღბლო გამოდგა. მისი კლუბი სერია A-დან სერია B-ში ჩამოეკეთდა. ამის მიუხედავად, "ნაპოლის" შემადგენლობაში იანკულოვსკი საუკეთესო იყო და სამი გოლი გაიტანა. ჩეხს თამაში მოუხდა სერია B-ში, სადაც კვლავ საუკეთესო



ნაკრებში თანაგუნდელები სავარაუდოდ კლუბშიც თანაგუნდელები გახდებიან

სო იყო და ხუთი გოლი გაიტანა. ამ წარმატებული სეზონის შემდეგ ჩეხმა ნახევარმცველმა "უდინეზეს" ყურადღება მიიპყრო და ახალი სეზონიდან ამ გუნდის შემადგენლობაში ჩაირიცხა. "უდინეზეს" შავ-თეთრ ფორმაში (რომელიც თითქოს "ოუვენს" ფორმის ასლია) გამოიყოფილმა იანკულოვსკიმ თავი შესანიშნავად იგმო და დაიწყო სპეციალისტების მიერ მასზე გაცემული ავანსების გამართლება.

იანკულოვსკი წამდელი უნივერსალია. უფრო ხშირად ის მოედნის ცენტრში თამაშობს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში დაცვითი ფუნქციის შესრულებაც შეუძლია. ამასთან, ჩეხი რეგულარულ გარღვევებს ახორციელებს მეტოქის საჯარო მოედანში, სადაც კარგად დაყენებული მისი დარტყმა ყოველთვის საზიფათოა მეკარისთვის. იანკულოვსკის არაერთხელ გაუმწარებია გოლიკიბურები. ჩეხი საოცრად დიდი ამბანობით გამოირჩევა, რაც საშუალებას აძლევს, თავისი საჯარო მოედნ მეტოქის მოედანამდე მთელი მატჩის განმავლობაში დაუღალავად იმოძრაოს. კლუბში მას იყენებენ, როგორც წინაწინაულ მარცხენა ნახევარმცველს.

სერია A-ში იანკულოვსკი ხშირად იყენებს თავის ძლიერ და ზუსტ დარტყმას (როგორც სტანდარტული რციელებს მეტოქის საჯარო მოედანში, სადაც კარგად დაყენებული მისი დარტყმა ყოველთვის საზიფათოა მეკარისთვის. იანკულოვსკის არაერთხელ გაუმწარებია გოლიკიბურები. ჩეხი საოცრად დიდი ამბანობით გამოირჩევა, რაც საშუალებას აძლევს, თავისი საჯარო მოედნ მეტოქის მოედანამდე მთელი მატჩის განმავლობაში დაუღალავად იმოძრაოს. კლუბში მას იყენებენ, როგორც წინაწინაულ მარცხენა ნახევარმცველს.

სერია A-ში იანკულოვსკი ხშირად იყენებს თავის ძლიერ და ზუსტ დარტყმას (როგორც სტანდარტული რციელებს მეტოქის საჯარო მოედანში, სადაც კარგად დაყენებული მისი დარტყმა ყოველთვის საზიფათოა მეკარისთვის. იანკულოვსკის არაერთხელ გაუმწარებია გოლიკიბურები. ჩეხი საოცრად დიდი ამბანობით გამოირჩევა, რაც საშუალებას აძლევს, თავისი საჯარო მოედნ მეტოქის მოედანამდე მთელი მატჩის განმავლობაში დაუღალავად იმოძრაოს. კლუბში მას იყენებენ, როგორც წინაწინაულ მარცხენა ნახევარმცველს.

ინფორმაცია

**ფეხბურთი.** საქართველო ნაკრების ფორვარდი გიორგი დემეტრაძე შეიძლება კვლავ რუსეთში დაბრუნდეს. ფეხბურთელის აგენტმა განაცხადა, რომ მის კლიენტს კონკრეტული წინადადებები აქვს "კრილია სოვეტოვისა" და მოსკოვის ოლქის "სატურნიკან". დემეტრაძით აგრეთვე ბელგიის "ბროუგეც" არის დაინტერესებული. შეგახსენებთ, რომ 1999 წელს გიორგი დემეტრაძე რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

**ფეხბურთი.** ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ გერმანიის პირველი ბუნდესლიგა 20 გუნდამდე უნდა გაფართოვდეს. "ინგლისს, ესპანეთსა და საფრანგეთს უკვე აქვთ ასეთი ლიგები. 20-გუნდიან ჩემპიონატზე იტალიაც ფიქრობს. ჩვენს ქვეყანაში 80 მილიონი მცხოვრებია, ვგეგმავთ მეტი დასავლეთ ევროპის ქვეყნიდან. ამის მიუხედავად, ასეთი პატიარა ლიგა გვაქვს", - ამბობს კაიზერ ფრანცი. მანვე დაამატა, რომ საშობაო არდადეგები ფეხბურთელთათვის უნდა შემცირდეს.

**ფეხბურთი.** იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, რომ ივნისში ელდორადო ეროვნულ ნაკრებში პაოლო მალდინის დაბრუნებას. "მე ნაკრების ფეხბურთელებს მასთან საუბარი ვეძებ, - განაცხადა ტრაპატონიმ, - იტალიურ ფეხბურთის ის და ნესტა სჭირდება". ცნობილია, რომ თვითონ მალდინიც თანახმაა, ეროვნულ ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის წინ დაბრუნდეს.

**ფეხბურთი.** "შანტიტერ იუნაიტედის" მწვრთნელი სერ ალექს ფერგისონი აპირებს, ინგლისის თასის ფინალამდე, რომელიც 22 მაისს გაიმართება, გუნდის შემადგენლობაში არ შეიყვანოს ჰოლანდიის ნაკრების ფორვარდი რუდ ვან ნისტელროი. ამ პაუზას ფეხბურთელი გამოიყენებს მუხლის სამკურნალოდ, რომელიც მას 2001 წლიდან აწუხებს. ბოლო 9 მატჩიდან ჰოლანდიელმა გუნდის შემადგენლობაში მხოლოდ ერთხელ, "არსენალს" წინააღმდეგ ითამაშა. იმ შემთხვევაში, თუ ტრავმა კვლავ შეაზღუდებს ფეხბურთელს, მას ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება მოუწევს.

**ფეხბურთი.** დანიის ნაკრების ნახევარმცველი ტომას როლ ლარსენი არ ითამაშებს პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატზე. "კონეპაგენის" ფეხბურთელმა ქუსლის მყესი დაიზიანა და ოპერაციას საჭიროებს. 27 წლის ფეხბურთელს ტრავმა მთელი სეზონის განმავლობაში აწუხებდა, თუმცა, მისი ბოლომდე მორჩენა ლარსენმა ვერ შეძლო. "ჩვენ მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამიტომ ოპერაციის გაკეთება მომიწევს", - განაცხადა ფეხბურთელმა. დანიის ნაკრების მწვრთნელს, მორტენ ოლსენს აგრეთვე აწუხებს მცველის კასპერ ბოგელუნდის და განაპირა პაუკის პეტერ ლოვენკრანდის ტრავმები. სამაგიეროდ მწყობრიმ ჩადავა "შლევ 04"-ის ნახევარმცველი კრისტიან პოულსენი, რომელმაც ტრავმის გამო ექვსი ევროპა გამოტოვა. "კრისტიანს ახლა ვორმის აღდგენა სჭირდება. შემდეგ კი შეიძლება ეროვნული ნაკრების შემადგენლობაშიც მოხდეს", - თქვა ოლსენმა.

**ფეხბურთი.** "რომას" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ემერსონმა განაცხადა, რომ მისი პერსონალი ლონდონის "ჩელსი" დაინტერესდა. "მე ბევრი წინადადება მიქვს. უახლოეს მომავალში გადაწყვეტ, თუ რომელი კლუბმა გვაგარძელებს საფეხბურთო კარიერას", - განაცხადა ფეხბურთელმა.

**ფეხბურთი.** ესპანეთის "ოსასუნას" მთავარმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ განაცხადა, რომ სურს, თავის გუნდში გლახოს "სელტიკისა" და შვედეთის ნაკრების ფორვარდი პენრიკ ლარსონი იხილოს. "ლარსონი ძალიან საინტერესო ფეხბურთელია და მე მზილავს იდეა, რომ მან ჩვენს გუნდში გააგრძელოს საფეხბურთო კარიერა", - თქვა მწვრთნელმა.

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა კლავდიო რანieriმ კომენტარი გაუკეთა ჩემპიონთა ლიგის მეორე ნახევარფინალურ მატჩში "მონაკოს" წინააღმდეგ თავის გუნდის წარუმატებელ თამაშს. "პირველი ნახევარი საოცარი გამოდგა. მატჩის ბედი ჩვენს ხელთ იყო, მაგრამ ტაიმის ბოლოს გოლი გაუშვით. თამაში შეიძლება დასრულებულიყო - 6:2 ან 6:3 ჩვენს სასარგებლოდ. ძალიან კი ვცდილობდით, მაგრამ, სამწუხაროდ, სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ".

**ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის გაწმეორებით ნახევარფინალურ მატჩს კომენტარი გაუკეთა ფრანკო მწვრთნელმა დიედე დეშამმა. "პირველი ტაიმი "ჩელსის" სასარგებლოდ - 2:0 რომ დასთავრებულიყო, მეორე ნახევარში ძალიან გაგვიჭირდებოდა, - განაცხადა დეშამმა, - ჩვენს გუნდს შეტევა უყვარს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მით უფრო, რომ გუნდში არის ისეთი ფორვარდი, როგორიც ფერნანდო მორინტესია. ასეთი მატჩების მოსაგებად აუცილებელია დიდ ფეხბურთელებს, ისეთებს, როგორიც მორინტესია. ის მაღრდის "რეალში" მრავალი წლის განმავლობაში თამაშობდა და ჩემს გუნდში საუკეთესო ფეხბურთელია. მას ძალიან კარგი მენტალტეტი აქვს და კარგ მანერათვლიან ხასიათს ჩეხეთი იქნება.

# ფიფას თავისი კანონები აქვს

პაატა თოთაძე

ლოზანის სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში უელსის ფეხბურთის ფედერაციის სარჩელის განხილვამდე ერთი კვირით ადრე, ფიფა რუსეთის ნაკრების მხარეს დადგა. როგორც გუშინ განხილვა ცნობილი, ფიფა არ დაემორჩილება სასამართლოსა და მსოფლიო ანტისალოპინგო სააგენტოს გადაწყვეტილებას და დომინთან დაკავშირებით ყველანაირ გადაწყვეტილებას თავად მიიღებს. ფიფასა და ანტისალოპინგო სააგენტოს შორის ახლო მომავალში უნდა დაიდოს ხელშეკრულება, რომელიც მათ ურთიერთობებს დარეგულირებს, თუმცა, რამდენიმე დეტალი ამთავითვე განხილვა ცნობილი. როგორც ირკვევა, ფიფა ჯერჯერობით თავს

იკავებს, განვერიანდეს სააგენტოში, რადგან თვლის, რომ ამის შემდეგ ის უხეშად ჩაერევა ფეხბურთის ანუ ფიფას შიდა საქმეებში. აქედან გამომდინარე, ფიფა ხელშეკრულებას დებს მუხლს, რომელიც მას არ აძლევს სააგენტოში იძულებითი განვერიანებას, შესაბამისად, არც მისი ნესტების შესრულებას, თუმცა, ფეხბურთის მმართველი ორგანო მუდმივად შეინარჩუნებს ურთიერთობას სააგენტოსთან, რათა უფრო ეფექტურად შეებრძოლოს უნესო სპორტსმენებს. ყველაფერი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ქვეყნის პარლამენტს განსახილველად გადაუზავნა ხელშეკრულების ასლი. "ხელშეკრულების ყველა დეტალის თარბაზე ფიფამ ოფიციალურად აცნობა

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას. ხელშეკრულების დეტალების ნახვის საშუალება სხვა ქვეყნის ფედერაციებსაც აქვთ, თუ ისინი ამას მოისურვებენ. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ და ამ ქვეყნის ანტისალოპინგო კომიტეტმა გამოთქვეს ამის სურვილი და, შესაბამისად, მიეწოდათ კიდევ ინფორმაცია. ჯერჯერობით ჩვენსა და ანტისალოპინგო კომიტეტს შორის არანაირი ხელშეკრულება არ გაფორმებულია, ამდენად, ლოზანის საარბიტრაჟო სასამართლოს ჩვენთვის იურიდიული ძალა არა აქვს. ყველაფერი მას შემდეგ შეიცვლება, რაც ორგანიზაციებს შორის რაიმე ხელშეკრულება გაფორმდება. ეს კი ევროპის ჩემპიონატამდე არ მოხერხდება. ნებისმიერ შემთხვევაში ფიფა არ დაეთანხმება სააგენტოს ნესტებს,

რომელიც ამა თუ იმ დანაშაულისთვის ფიქსირებულ სასჯელს ითვალისწინებს. გარდა ამისა, ფიფა სააგენტოს არ მისცემს ინფორმაციას, თუ სად ცხოვრებენ ფეხბურთელები, რათა სააგენტოს წარმომადგენლებმა, როცა მოესურვებათ, მათში არ შეამონონ სპორტსმენები. ამასთან, ფიფა არ დაუშვებს, რომ ფეხბურთელები სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებმა შეამონონ", - ნათქვამია ფიფას ოფიციალურ განცხადებაში.

ფაქტობრივად, ფიფა უარს ამბობს, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, რადგან საეჭვოა, სააგენტო დათანხმდეს იმ პირობებს, რომელსაც ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია უწყევტს. ეს კი, თავის მხრივ, ახალი სკანდალი მომასწავებელია, რომელიც, შესაძლოა,

ოლიმპიური სახეობებიდან ფეხბურთის მოკვეთითაც დასრულდეს. ვარაუდი ამის შესახებ გუშინ გამოთქვა ანტისალოპინგო სააგენტოს პრესსამსახურის უფროსმა ფრედერიკ ლოზემ. "უმთავრესი საკითხი, რომელიც ჩვენ ვერ ვთანხმდებით, სპორტსმენის დისკვალიფიკაციაა. ფიფამ რატომღაც ყველაფერი სხვაგვარად ესმით. არადა, სპორტი სპორტია და ნესის დამრღვევი ყველა სახეობაში ერთნაირად უნდა ისჯებოდეს", - აცხადებს ლოზე. თუ მის აზრს გავითვალისწინებთ, ის ფეხბურთელები, რომლებმაც დომინტესტი ჩაადგეს, სულ მცირე, ორი წლით უნდა ჩამოშორდნენ ფეხბურთს, ზოგიერთი მათგანი კი სამუდამოდაც, რასაც ფიფა, მისი წარმომადგენლის განცხადებით, არაფრით არ დაუშვებს.

კრიზი

# ბრძოლის წყურვილი

"ტაისონი ახლა ისე ვარჯიშობს, როგორც არასდროს ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, - ამერიკული გაზეთის The Star-Ledger-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს ფიჩკელი. - ორ კვირაში მაიკი მწვრთნელ ფრედი როუჩთან მუშაობას დაიწყებს და წლელს სამჯერ გავა რინგზე - ივლისში, სექტემბერსა და დეკემბერში".

სხვათა შორის, კლიფორდ ეტიენტან საჩხუბრად ტაისონის სწორედ ფრედი როუჩმა განვრთნა. "რკინის მაიკის" დამრიგებელს შეგივრდის შესაძლებლობები არც ახლა დაიკარგა ეჭვი. მეტიც, როგორც აცხადებს, ტაისონს შესწევს უნარი, დაამარცხოს სუპერმძიმეწონისანთა საჩემპიონო ტახტზე მოკალათებული ოთხივე მბრძანებელი - ვიტალი კლიჩკო (WBC), კრის ბერდი (IBF), ჯონ რუისი (WBA) და ლეიმონ ბრიუსტერი (WBO). ოლინდ ევაა, მათ ჩამოსაგდებად ტაისონს დისციპლინა და ოპტიმალურ ფორმაში მესვლა სჭირდება. ჯერჯერობით ტაისონისთვის პირველ მეტოქედ უნახელი ირლანდიელი კეინ მაკბრაიდი შეურჩევიათ. მათი მატჩი ივლისის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. ეს ორთაბრძოლა იაპონური საპრომოუტორი კომპანია K1-ის ეკიდით ჩატარდება. ეს კომპანია კი წმინდა საკრიგო ორთაბრძოლათა ორგანიზებაზე მეტად შერეული მხედრული ორთაბრძოლების მოწყობითაა დაკავებული. რაც შეეხება მეორე, ანუ სასექტემბრო მეტოქეს, მის შესახებ, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი. თუმცა, აქედანვე ცხადია, რომ მეტოქე "იდგვაროვანი" არ იქნება, ამასთან, ნაკლებად სავარაუდოა ისიც, რომ ბრძოლა ამერიკის ტერიტორიაზე შედგეს.

თუმცა, ის კანდიდატურები,



ტაისონს ჩხები მოეწარმა

რომლებსაც ტაისონის შესაძლო მეტოქეთა შორის ხედავენ, წამდვიანია" არ იქნება, ამასთან, ნაკლებად სავარაუდოა ისიც, რომ ბრძოლა ამერიკის ტერიტორიაზე შედგეს.

უდო მეტოქის ჯო მეზის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო ამ უკანასკნელის ადგილი დაიკავებს - ლეიმონ ბრიუსტერი, ვასილი ვიროვი, მოსტე ბარტი ან ჯეიმს ტონი.

კალათბურთი

მესამე და... ვისი?

საქართველოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი. მესამე მატჩი



ნახევარფინალში "ზასკო" სტუ-კოსელს გადამაბა

ვახაბა თოთაძე

ბასკო - სტუ-ჯეოსელი 75:62

ბოლო დროს აჭარაში განვითარებული მოვლენების გამო ბათუმელები თბილისში იყვნენ გადმო...

ბათუმის მთავარი სპორტიული დასახელება... ბათუმის მთავარი სპორტიული დასახელება...

TV-სპორტი

პარასკევი, 7 მაისი

Table with 2 columns: Time and Event. Lists various sports events including basketball and tennis matches with their respective channels and times.

ბერძენიშვილის ორქულიანით დაიწყო. ბერძენიშვილი, წინა მატჩებთან შედარებით, უარესად გამოიყურებოდა...

მესამე მეთხუთხედის დასაწყისში ბათუმელებმა იყო - სამწუთხაგვიანი მონაკვეთი მათ მ.0 მოიგეს...

"პერსი ვერაფერს გეტყვი, სტუ-ჯეოსელმა რეგულარულ ჩემპიონატში ისე გააკეთა, რომ პლეი-ოფში ჩვენ შეგვედგინა...

მაქეს, თავიდან მოვიცილო ეს აბეზარი "ყოვლისმცოდნე" თარჯიმანი...

მარკო პანტანი დისკვალიფიცირებულია სისხლის საკონტროლო სინჯის შემდეგ სამედიცინო კომისიის ადვოკატის: ჰემატოკრიტი. სპორტსმენის სისხლში ფორმინი ელემენტების პროცენტული რაოდენობა...

ეს ყველაფერი ხდება "ჯიროს" დასრულებამდე ერთი ეტაპით ადრე, რომელიც მარკოს, რომ იტყვიან, ცალი ფეხით შეეძლო გაეგლო.

რა თქმა უნდა, ზემოხსენებული ელემენტების რაოდენობის ზრდაში კარგი არაფერია, რადგან რალაც ზღვარს იქით სისხლი იმდენად სქელდება...

პო, გული... ტანით კი პატარა იყო მარკო პანტანი, მაგრამ გული დიდი და, თანაც, ლომისა ჰქონდა.

პანტანი ნამალს არ მოუკლავს. სადღა არ ჩატარებულ არც ერთ ტესტს სპორტსმენის სისხლში არაფერია, რომ აღმოუჩენია დომინგის კვალი.

პანტანი ნამალს არ მოუკლავს. პანტანი აიძულეს, თავი მოკლეთ. 1999 წელს არ მიინჯო "ტურ დე ფრანსზე".

რამდენიმე უღიბლამო შეჯიბრების შემდეგ "ტურზეც" სცადა გაბრძოლებს. ეს ის პანტანი აღარ იყო, მაგრამ რამ მთავრზე მაინც შეძლო არმეტრონგის დამარცხება.

ბოლოს, ეტობა, ახლოობებს - მოსებრდათ გაუტყეპილი იტალიის მრავალფეროვნებით ბრძოლაში. შარშან, "ტურ დე ფრანსზე" მოგების იმედით, ერთ წინაბილ უნდა შესთავაზო თავი. ბოლო მომენტში უარი უთხრეს.

ყველაფერი შეიძლება აიტანო კაცმა, მაგრამ საყვარელი პროფესიის აკრძალვას ბევრი ვერ გაუძლებს. ვერც გაუძლო. ისევ კლინიკაში მოხვდა.

ხელ "ჯიროს"... ხელიდან ისევ აჭრელდება იტალიის გზები - ფერად-ფერადი მაისურებით და პოპულარული სახელებით. მწვერვალში კენ მიმავალ დაკლანილ ასფალტზე ისევ ნაიწერება: გარცემლი, სიმიონი და სხვათა სახელები.

ხელ ზემოთა იტალიაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, პირველი ეტაპის ეპარება ეჭვი, რომ მარკოს ზეგარდმო ძალები მფარველობენ. ერთ-ერთი არარეგისტრირებული ავარიის დროს სამედიცინო სამსახურის რომელიღაც მანქანის ერთ კარში ეგლოსიუდინანად შემძვრა...

მიწაწერი: ერთ საიდუმლოს გავანდობთ: ეგლოსპორტთან დაკავშირებულ წრეებში თითქმის არაფერია ეპარება ეჭვი, რომ მარკოს ზეგარდმო ძალები მფარველობენ. ერთ-ერთი არარეგისტრირებული ავარიის დროს სამედიცინო სამსახურის რომელიღაც მანქანის ერთ კარში ეგლოსიუდინანად შემძვრა... უკლებლად დაიშინება თუ საპრესტიჟო სახეებს იქნებოდათ და გარდაცემი იყავით...

Giro d'Italia

მუდამ მხოლოდ პანტანი!



განუმეორებელი მარკო პანტანი



ჭრელი ქარვანი

სე. დიდი და პატარა ხვალისნაგულ სტარტზე ლაპარაკობს.

გული მიგრძნობს, რომ არ გამოუვათ ზემო იტალიელებს. განა მარტო ემს დაკარგავს, უბრალოდ, ვერ დაინჯება "ჯირო" უპანტანოდ... საოცრად რბილს, მომთმენსა და თავაზიანს "მეკობრე" შეაქცევს.

1970 წელს, როცა "კაიჯაჩიად" მონათლულა ვეი მერქსმა პირველად მოიგო დუბლი ("ჯირო" და "ტურნი"), მაშინ პანტანი ექვსი თვისა იყო.

1999 წელს პანტანის ტრიუმფის გამოცხადდა ედი გულში და ყველაფერი იგრძნობოდა, რომ ამაში ხელს ვერავინ შეუშლიდა.

რამდენიმე თვის წინ თავი მოეკლათ, ამბობენ, ნამლის დოზა მოუვიდა მეტროს, რუსულ-ინგლისური ნარევით მანდის რემთვის საინტერესო ინფორმაციას.

კიდევ რალაცას მუხუნებმა, მაგრამ ყურს აღარ ვუვადებ. ამ საოცრად უღიბლო კაცის ცხოვრების რალაც-რალაც ნაგულეები მასხენდება:

1995 წელს, მაისში, ვარჯიშის დროს ავტომობილი დაეჯახა; იმავ წლის 18 ოქტომბერს მილან-ტური-ნის ეტაპზე საპირისპირო მიმართულებით მომავალ ავტომობილს, ამჯერად "ჯიპს" შეასკდა. მკურნალობამ წელიწადნახევარს გასტანა.

ირაკლი ბარიკაძე

- Sono Pantani, - დროდადრო გაურევს იტალიურად და ვატიკანურად, დამტკიცებული რუსულ-ქართულ-ინგლისურით როგორ გულმოდგინედ ცდილობს ამისხნას ამ სიტყვებისა და, საერთოდ, ამ ამბის დიდი მნიშვნელობა.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიელთა, მაინც თარჯიმანია და, თანაც, ქალი. ის ამას ვერასოდეს ვერ გაიგებს. ვერ გაიგებს, რას ნიშნავს თუნდაც ეს ორი სიტყვა კაცისთვის, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს იტალიური, ფრანგული ან თუნდაც ესპანური წრე.

მაპანტანი, ვეღვაღე და "ჯიროს", "ტურისა" და "ფუტბალს" ნაცვლად ამ სიტყვების ქართული თარგმანი ვიხმარე.

ხვალ "ჯიროს"... ისევე როგორც დანარჩენ ორზე, აქაც, ამ მრავალდღიანზეც ვრცელდება ტრადიცია - ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი აღმართი პოპულარული სახელეებითაა აჭრელებული. გოტა... გარცემლი... სიმონი... სულ რამდენიმე წლის წინათ ყველაზე ხშირად და ყველაზე გულმოდგინედ გამოყვანილი მაინც ის სახელი იყო - პანტანი...

ადამიანზე, ვისაც კი ოდნავ პატივს ვცემ, წარსულში ლაპარაკი განა მხოლოდ არ მიყვარს, უბრალოდ, არ შემიძლია.

- Sempre sono Pantani, - ისე თქვა ჩემმა თარჯიმანმა, თითქოს, სუბი ცივდება, მიიროვიო.

რა უგემურად თქვა. გვეგონება, მართლა ცივი სუბი დადიდგესო წინ. გავდებოხადი. იტალიელი კია, მაგრამ ქალია და, თანაც, არასოდეს უნახავს არც "ჯირო" და არც "ტური". პანტანისაც ისე, ცალკებად ასხენებს. ინფორმაციისთვის.





# უბრალოდ მონატრება თუ მასტერ-კლასი ძველი გვარდიისთვის?

ერთდროული სიხარულის ზეიმი რეპ-ში

პირა ნაფარიძე

მეოთხე დღეა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში სტუდენტური დღეების ფარგლებში კონცერტები იმართება. ამ საღამოს ისედაც ბევრი რამ გამოარჩევს კომუნისტური ასოციაციების ისეთი ღონისძიებისგან, როგორც ზემოთხსენებული დღეები, მაგრამ კიდევ უფრო განსაკუთრებული იყო გუშინინდელი, 5 მაისის კონცერტი.



ძველი გვარდია ფორმაშია

“ძალიან დიდა ჩემი და აქ წარმოდგენილი მხატვრების ურთიერთობა; ჩვენი ურთიერთობის ბიოგრაფია. სწორედ ამ მონატრებამ და დიდმა სურვილმა – მოვანყობ ერთდროული სიხარულის ზეიმი, გაგვავრთავს ამ, ჩემთვის ისტორიულ და ლამაზ დარბაზში”, - ასე მიმართა გუშინინი “გე-პე-ი”-ში შეკრებილ სტუმრებს კონცერტების ორგანიზატორმა და მუსიკით გატაცებული მეგობრების მუდმივმა საზოგადოებრივ ტოგონიქემ. სწორედ ის გამოიყენა, რომელიც ოთხშაბათს გაიხსნა დარბაზში, გამოარჩევდა კონცერტს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართული წინა ღონისძიებებისგან.

ეს დღეები თავად მოუწყვეს საკუთარ თავს “გე-პე-ი” გვარდიის წევრებმა (ასე მოიხსენიეს საკუთარი თავი რამდენიმეჯერ კონცერტის მონაწილეებმა). მუსიკა და მხატვრობა აკავშირებდათ მათ ყოველთვის. ზოგიერთმა არ უღალატა ახალგაზრდულ გატაცებას – მათგან რამდენიმე ცნობილი მხატვარიც (გია ბულაძე, ლევან კიკელიძე, მამუკა ცეცხლაძე...) გახდა, რის საილუსტრაციოდ გუშინინი გახსნილი გამოიყენა. ნაკლებად აირჩია მუსიკალური გზა, თუმცა მუსიკაში დახარჯულმა წლებმა რომ უკეთესად არ ჩაიარა, ამაზე ის კონცერტებზე მოუთხოვს, რომელთაც ისინი ბოლო წლების განმავლობაში პერსონალურად მართავდნენ. ასეთ საღამოებს სულ სხვაგვარი დატვირთვა აქვთ. სჯობს არც წახვიდე; თუკი ცოტა ხნით მაინც არ ყოფილხარ გატაცებული გასული საუკუნის 70-იანი წლების მუსიკით,

რამაც სამყაროში ბევრი რამ შეცვალა; თუკი იცი, რომ არ ავალღებ 50 წელს გადაცილებული ახლა უკვე თავად “პიძების” ნოსტალგია ახალგაზრდობისადმი. მაგრამ, თუკი პირიქითაა, მერნმუნეთ, ეს ყველაფერი საკმაოდ ამაღლებელია. პირადად, მეორედ გახლავართ “მაო-ბენდის” ასეთ კონცერტზე და ზუსტად ერთნაირად განვიცადე პიჯაკში გამოწყობილი ძველი როკ-მენების თარეში სცენაზე. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ როგორი განწყობით ასრულებენ ისინი მათი ახალგაზრდობის პიტებს, თავისუფლების პიტებს; რეპერტუარს “ემერსონ ლეიკ ენდ პალ-მერიდან”, ბობ დილანისა თუ ისეთი მუსიკოსების შემოქმედებიდან, რომელთა სახელებს როკ-მუსიკის ისტორიის კითხვისას თუ შეხვდებით.

გუშინინდელი საღამო კიდევ ერთი რამის გამო იყო განსაკუთრებული.

კონცერტის დაწყებამდე სტუმრები ფოიში, ტელეკრანიდან ადევნებდნენ თავს აჭარბებით მიმდინარე მოვლენებს თუ პრეზიდენტის მიმართვას. “ამ საკონცერტო პროგრამაზე მუშაობა 21 ნოემბერს დაიწყო; მაშინ დაეუკარით სწორედ პირველად და გადავადეთ ის კაცი. დედას გევიცებით, ნამდვილად არ ვიცოდით რა მოხდებოდა ახლა. ავეყვანონ შტატში და ნებისმიერ რეგულაციას დაეასრულებთ”, ვინც “რეგულაცია 1”-ის და “რეგულაცია 2”-ის მშვიდობიანი დასასრული “დაბრალა”, ამ სიტყვების ავტორი (რასაკვირველია, ხუმრობით) საღამოს ერთ-ერთი მონაწილე, “მაო-ბენდის” ლიდერი თამაზ კაპანაძეც (ახალგაზრდული მეტახელი – “მაო”) იყო. ამ ყველაფრის გამო კი, - რაც ხდებოდა გარეთ და შიგნით, დარბაზში განწყობა მართლაც ამაღლებუ-

ლი ჰქონდა ყველას. რაც შეეხება დარბაზს, კიბეებზეც კი აღარ იყო ტყეა. “1974 წელს ამ სცენაზე გაიხსნა ჩვენთან პირველად “პარდი”; ათი წლის განმავლობაში ეს დარბაზი როკ-მუსიკის მცეს იყო. შემდეგი ოცი წელი ჩვენ ვერ არ მოვიცალეთ მუსიკისთვის – ვქმნიდით ოჯახებს, ვანაყოფობდით კარიერას; ახლა კი, მოვიცალეთ საკუთარი სულისთვის”, - მათს ამ სიტყვების შემდეგ ძალიან იოლია წარმოიდგინოთ, როგორი სიტუაცია შეიძლება ყოფილიყო რეპ-ის ისტორიულ დარბაზში, რომელსაც, ძირითადად, სწორედ საღამოს გამორების ოჯახის წევრები, მეგობრები და ნათესავები ავსებდნენ. ეს მართლაც იყო მონატრების საღამო, მაგრამ ასევე გამოდგებოდა მასტერ-კლასად მათთვის, ვისაც არ შეუძლია სიმღერით გადასცეს ემოცია მსმენელს (არადა, რამდენი არიან...).

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“  
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბუქლეის ათვისება
- საქმნიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერატიული სისტემა Windows.

ცენტრი მოქმედებს სხვა კურსებით.

მისამართი: გ.უზნაძის N70 ტელ: 29-48-01

ვებ-გვერდი: [WWW.mziuri.ge](http://WWW.mziuri.ge)

საქართველო

შეიძინეთ გაერთიანებული მოიგეთ!

ფორმა "ფენიქსი" გთავაზობს წარმატებას.

ყოველ შაბათს, მუხრანის რაიონის 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტელეკონკურსი "საოცებო ტოტოს" გათამაშება.

დაწვრილობითი ინფორმაცია და კომუნიკაციების სხვაილი ინფორმაცია ზაზაში 24 საათში

## გელით ჩვენს რიგებში!

- კორპორატიულ და რეკლამატორულ საქმეთა აღმასრულებელი;
- მარკეტინგული კვლევისა და ინფორმაციის აღმასრულებელი;
- მომარაგების სექტორის აღმასრულებელი.

მოთხოვნები აღნიშნული თანამდებობისათვის:

- ✓ საუნივერსიტეტო განათლება ბიზნესის ან ეკონომიკის სფეროში;
- ✓ მინიმუმ ერთი წლის სტაჟი აღნიშნულ სფეროში;
- ✓ ინგლისური/ რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
- ✓ კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობის კარგი უნარ-ჩვევები;
- ✓ მოგზაურობის შესაძლებლობა.

გამოგვიგზავნეთ თქვენი CV მისამართზე: [natalia\\_khvan@bat.com](mailto:natalia_khvan@bat.com) 2004 წლის 24 მაისამდე

მიუთითეთ თანამდებობა, რომელზეც აკეთებთ განცხადებას.

## წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდსადენი ხერხელოს ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არემი; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და სხნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმზადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლცისტიტი), შუპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინო" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ ავთოიკებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

# VALENTINI

ვალენტინი

გამოშენის ტერიტორიიდან გადავიდა ვარკეთილის

116

-10%      -20%      -40%

საოფისე ავეჯი      ბავშვის ოთახი      აბაზანის ავეჯი

სამზარეულო და სასადილო კარნიტორები      სამუშაო      საძინებელი კარნიტორები      ალუმინის შუკიდული ტიურები      მეტალოპლასტმასის და ალუმინის კარ-ფანჯარა ვიტრაჟები      გათბობის სისტემები

მისამართი: ა.წარკეთილის №116      ტელ: 34 73 20